საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. სექტემბრის 25 № 27 ტ ფ ი ლ ი ს ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახელმწიფო წყობილება.

203. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის საორგანიზაციო განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის საორგანიზაციო განყოფილების შესახებ.

204. საბჭოების საორგანიზაციო მასობრივი მუშაობის გარდაქმნის შესახებ.

205. საქალაქო საბჭოების სადეპუტატო ჯგუფების დებულების შეცვლის შესახებ.

206. საქართველოს სსრ სასოფლო საბჭოების დებულების შეცვლის შესახებ.

207. სასოფლო საბჭოებთან მეცხოველეობის სექციების მოწყობისა და მათ შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სასოფლო საბჭოებთან არსებული მეცხოველეობის სექციების შესახებ.

208. სასოფლო საბჭოებთან არსებული სარევიზიო კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სასოფლო საბჭოებთან არსებული სარევიზიო კომისიების შესახებ.

სახელმწიფო წყობილება

203. დადგენილება ც.ა.კ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის საორგანიზაციო განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აწესებს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის საორგანიზაციო განყოფილების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოს აფხაზეთის ასსრ-ის, აჭარისტანის ასსრ-ის და საბჭოთა ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, 1-ლ მუხლში აღნიშნულ დებულებასთან შეფარდებით, გამოსცენ დებულება სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის საორგანიზაციო განყოფილების შესახებ.

3. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წ. სექტემბრის 5-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრატიული კომისიის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ., 9 №-ი, მუხ. 122) ჩაითვალოს გაუქმებულად.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. აგვისტოს 15.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის საორგანიზაციო განყოფილების შესახებ.

1. საორგანიზაციო განყოფილება არის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ორგანო, რომელიც ანხორციელებს პრეზიდიუმის დირექტივებსა და დავალებებს, რაც შეეხება: საბჭოთა მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მოწყობასა და ადგილობრივი საბჭოების, საბჭოთა ყრილობებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების საორგანიზაციო-მასური მუშაობის ხელმძღვანელობას.

2. საბჭოთა ორგანოების მოწყობისა და საორგანიზაციო-მასური მუშაობის სფეროში საორგანიზაციო განყოფილებას ევალება:

ა) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულება;

ბ) საორგანიზაციო-მასურ ღონისძიებათა დამუშავება და განხორციელება, რაც უზრუნველჰყოფს საბჭოების ხელმძღვანელობას სოციალისტური მშენებლობისა და უკლასო საზოგადოების დამყარების ამოცანების განხორციელების საქმეში;

გ) ღონისძიებათა დამუშავება მუშების, კოლმეურნეების, ღარიბი და საშუალო გლეხების, განსაკუთრებით კი ქალების, დასარაზმავად და სოციალისტურ მშენებლობაში და სახელმწიფო მმართველობაში ჩასაბმელად;

დ) ღონისძიებათა დამუშავება საბჭოების სექციებისა და დეპუტატთა ჯგუფების, როგორც მშრომელთა ფართო მასების საბჭოთა მუშაობაში ჩაბმის ძირითადი ორგანოების, მოწყობისა და მოქმედების ხელმძღვანელობისათვის; კერძოდ, იმ ღონისძიებათა დამუშავება, რაც ხელს შეუწყობს სექციებისა და დე-

პუტატთა ჯგუფების უფრო და უფრო გარდაქმნას პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა აღსრულების მასურ აპარატად სოციალისტური აღმშენებლობის სხვადასხვა დარგებში;

ე) საბჭოების მასური მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების დამუშავება როგორც ქალაქად, ისე სოფლად სექციების, დეპუტატთა ჯგუფებისა და სხვ. მუშაობის გამოცდილების საფუძველზე;

ვ) პროფესიონალური კავშირებისათვის ხელის შეწყობა სახელმწიფო აპარატზე მუშათა შეფობის მოწყობის საქმეში; პროფესიონალურ კავშირებთან ერთად სოციალისტური შემთავსებლობის მოწყობა სახელმწიფო აპარატში; ხელის შეწყობა პროფესიონალური კავშირებისათვის მასური კონტროლის განხორციელების საქმეში და კომკავშირის „მსუბუქი კავალერიისათვის“ საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებასა და მის ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლაში;

ზ) საორგანიზაციო ღონისძიებათა დამუშავება საბჭოთა არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის კამპანიის ჩასატარებლად;

თ) იმ ღონისძიებათა დამუშავება, რაც დაკავშირებულია ადგილობრივი საბჭოების და აღმასრულებელი კომიტეტების მონაწილეობასთან საერთო-სახელმწიფოებრივ კამპანიების განხორციელებაში (პურის დამზადების კამპანია, თესვის კამპანია და სხვ.);

ი) იმ საკითხების დამუშავება, რაც საქ. სსრ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ დაყოფას შეეხება (ახალი ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულების შექმნა ან არსებული ერთეულების გაუქმება, სასოფლო საბჭოებისა და რაიონების ცენტრის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადატანა და სხვა.);

კ) მუდმივი კავშირის განხორციელება ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან, ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებთან და საბჭოებთან ადგილობრივი საბჭოთა აპარატის საორგანიზაციო აგებულებისა და საორგანიზაციო მასური მუშაობის საკითხების გამო.

3. ადგილობრივი საბჭოთა ორგანოებისათვის ინსტრუქტორობის და კონტროლის გაწევის სფეროში საორგანიზაციო განყოფილებას ევალება:

ა) ადგილობრივი საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობის გამოკვლევა და მათთვის ინსტრუქტორობის გაწევა საბჭოთა აღმშენებლობის, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მოწყობის, საორგანიზაციო-მასური მუშაობისა და მიმდინარე პერიოდის ამოცანების შესაბამისად საბჭოების მუშაობის გარდაქმნის საკითხების გამო;

ბ) სახალხო კომისარიატებისა და საქართველოს სსრ-ის სხვა ცენტრალური დაწესებულებების მიერ გამოსაცემი ინსტრუქციების, დებულებებისა და ცირკულარების პროექტების შეთანხმება, რაც ადგილობრივი საბჭოთა აპარატის აგებასა და საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების საორგანიზაციო-მასური მუშაობის საკითხებს შეეხება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების წევრებისა და აგრეთვე ფართო საბჭოთა აქტივის ჩაბმა საორგანიზაციო განყოფილების მუშაობაში შტატგარეშე ინსტრუქტორების მოვალეობის დაკისრებით;

დ) შემოწმება საინსტრუქტორო გამოკვლევის საშუალებით სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის დადგენილებებისა და დირექტივების შესრულებისა ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მიერ, შესწავლა ამ დადგენილებათა და დირექტივების ადგილობრივ პრაქტიკული განხორციელებისა, შემოწმება პარტიისა და მთავრობის დადგენილებებისა და დირექტივების შესრულებისა საორგანიზაციო-მასური მუშაობის საკითხების გამო;

ვ) ზედამხედველობის გაწევა ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტებისა და საბჭოებისათვის სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის სფეროში.

4. ინფორმაციის და აღრიცხვის სფეროში საორგანიზაციო განყოფილებას ევალება:

ა) დამუშავება ადგილობრივი საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობის გამოკვლევის შედეგებისა, თავის მოყრა, განხილვა, შესწავლა და დამუშავება ადგილობრივი საბჭოების, აღმასრულებელი კომიტეტების და უწყებებისაგან შემოსული ოქმების, ანგარიშების, მოხსენებების, ჯუმლებისა და სხვა მასალებისა, რაც ადგილობრივ საბჭოთა აღმშენებლობას აშუქებს; აღნიშნული მასალების მიხედვით პერიოდული მიმოხილვის შედგენა საქართველოს სსრ-ის ადგილობრივი საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ, აგრეთვე საჭირო შემთხვევებში ამ მასალებისა და მიმოხილვის გამოცემა;

ბ) შედგენა და დამუშავება სააღრიცხვო ცნობებისა საბჭოთა არჩევნებს ჩატარებისა და საბჭოების და აღმასრულებელი კომიტეტების საორგანიზაციო-მასური მუშაობის შესახებ;

გ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა პირადი აღრიცხვის წარმოება.

5. საორგანიზაციო განყოფილებას ევალება შესწავლა და აღრიცხვა საბჭოთა კადრებისა, რომლებიც იზრდებიან მუშათა, მუშა-ქალთა, კოლმეურნეთა და კოლმეურნე-ქალთა რიგებიდან, და მათი დაწინაურება საპასუხისმგებლო სამუშაოზე საბჭოებში და აღმასრულებელ კომიტეტებში.

6. გარდა 2—5 მუხლებში აღნიშნული ფუნქციებისა საორგანიზაციო განყოფილებას ევალება:

ა) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მუშაობის გეგმის შედგენა და პრეზიდიუმისათვის წარდგენა დასამტკიცებლად;

ბ) მონაწილეობის მიღება სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიის დღიური წესრიგის შემუშავებაში და იმ საკითხების მომზადებაში, რაც სრულად საქართველოს საბჭოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრილობაზე და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიაზე უნდა იქნეს შეტანილი განსახილველად;

გ) მომზადება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომებისთვის ყველა იმ საკითხისა, რაც საბჭოთა ადგილობრივი ორგანოების მოწყობასა და საორგანიზაციო-მასური მუშაობას შეეხება, დასკვნის წარდგენა პრეზიდიუმისათვის იმ საკანონმდებლო აქტების პროექტების შესახებ, რაც შეტანილ იქნება სახალხო კომისართა საბჭოს, სახალხო კომისარიატებისა და ადგილობრივი საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მიერ იმავე საკითხების გამო;

დ) წარდგენა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისათვის გასაუქმებლად ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ისეთ დადგენილებათა და განკარგულებათა ადგილობრივი საბჭოთა აპარატის ორგანიზაციულად აგებისა და საორგანიზაციო-მასური მუშაობის საკითხების შესახებ, რომელნიც ფორმალურად და არსებითად ეწინააღმდეგებიან სსსრ კავშირის, ა/კ. სფსრ-ის და საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციასა და კანონმდებლობას;

ე) ლონისძიებათა დამუშავება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის აპარატის რაციონალიზაციისა და გაუმჯობესებისათვის;

ვ) თათბირის მოწვევა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმის ნებართვით ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების, საბჭოებისა და საბჭოთა მასურ ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან, საუკეთესო დამკვრელებისა და პროფესიონალური, კომკავშირული და სხვ. საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით, საბჭოთა აღმშენებლობის საკითხების განსახილველად, გამოცდილების გასაზიარებლად და ცალკეული კონკრეტული საკითხების დასამუშავებლად; აგრეთვე სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური ორგანოების წარმომადგენელთა თათბირების მოწვევა;

ზ) პრაქტიკული ხელმძღვანელობის გაწევა ლიტერატურის გამოცემისათვის საბჭოთა აღმშენებლობისა და საბჭოების საორგანიზაციო-მასური მუშაობის საკითხების შესახებ;

თ) მომსახურე ბის გაწევა საქართველოს სსრ ცენტრალურ საარჩევნო კომისიისათვის საბჭოთა საარჩევნო კამპანიის ჩატარების საქმეში;

ი) განხილვა სათანადო შემთხვევებში საქმეებისა იმ პირთა საარჩევნო უფლების აღდგენის შესახებ, რომელნიც საარჩევნო უფლებას მოკლებული არიან, როგორც ექსპლოატატორთა კლასის წარმომადგენელნი, ან როგორც პოლიციის, ჟანდარმერიისა და საპატიმრო უწყების ყოფილი მოსამსახურენი, და ამ საქმეების წარდგენა გადასაწყვეტად ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის, და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისათვის, კუთვნილებისამებრ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ) განხილვა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოქალაქეთა სა-ჩივრებისა საარჩევნო უფლების ჩამორთმევის შესახებ და მათი წარდგენა დასკვნით გადასაწყვეტად ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის ან ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისათვის, კუთვნილებისამებრ.

7. საორგანიზაციო განყოფილების სათავეში სდგას გამგე, რომელსაც ნიშნავს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი თავის წევრთა შედგენილობიდან. საორგანიზაციო განყოფილების გამგეს ჰყავს ერთი მოადგილე. გარდა ამისა, განყოფილების შედგენილობაში გამოყოფილია გამგის სპეციალური თანაშემწე ქალთა შორის მუშაობისათვის.

8. საორგანიზაციო განყოფილების შტატში ირიცხებიან პასუხისმგებელი ინსტრუქტორები.

საორგანიზაციო განყოფალების შტატს ამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

9. საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილეს და პასუხისმგებელ ინსტრუქტორებს ნიშნავს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი უპირატესად ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრთაგან, ხოლო დანარჩენ თანამშრომლებს ნიშნავს საორგანიზაციო განყოფილების გამგე.

პასუხისმგებელი ინსტრუქტორების უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება განსაკუთრებული დებულებით.

10. საორგანიზაციო განყოფილებას უფლება აქვს უშუალო ურთიერთობა იქონიოს ადგილობრივ საბჭოებთან და აღმასრულებელ კომიტეტებთან. მას შეუძლია უშუალო ურთიერთობა იქონიოს აგრეთვე საქართველოს სსრ ცენტრალურ დაწესებულებებთან და საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მათგან განმარტების, დასკვნის ან ცნობების მიღება საორგანიზაციო განყოფილების გამგებლობის საკითხების შესახებ.

ყველა დანარჩენ შემთხვევაში ცენტრალურ დაწესებულებებთან და ავტონომიური ერთეულების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან საორგანიზაციო განყოფილება ურთიერთობას ანხორციელებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მეშვეობით.

ბ/ფ 30/V-72 წყ.№5, ტ.7

204. დადგენილება ც.ა.კ.

საბჭოების საორგანიზაციო მასობრივი მუშაობის გარდაქმნის შესახებ.

პარტიის მე-XVII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე საბჭოების მუშაობის გარდაქმნამ უნდა უზრუნველყოს იმ გრანდიოზულ ამოცანათა წარმატებით შესრულება, რაც დაყენებულია ჩვენი ქვეყნის წინაშე მეორე ხუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლედის პერიოდში. საბჭოთა მუშაობის გარდაქმნისათვის საჭიროა მუშაობის მეთოდებისა და ხასიათის შეცვლა ან, როგორც მე-XVII ყრილობის რეზოლუციაშია აღნიშნული, საჭიროა მუშაობის ხარისხის აწევა ყველა დარგში, უპირველეს ყოვლისა, აწევა ორგანიზაციულ-პრაქტიკული ხელმძღვანელობის ხარისხისა, რაც აუვანილ უნდა იქნეს სოციალისტური მშენებლობის უდიდეს ამოცანათა სიმაღლეზე. სოციალისტური მშენებლობის შემდგომი წარმატება დიდად არის დამოკიდებული საბჭოთა იმ მასობრივი ორგანოების მუშაობის გაშლასა და განმტკიცებაზე, რომლებმაც უნდა მიიზიდონ მშრომელთა ფართო მასები ამ მშენებლობის კონკრეტულ ამოცანათა გადასაწყვეტად.

ამის გამო და საბჭოების საორგანიზაციო მუშაობის შესახებ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წ. 27 მაისის დადგენილებისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წ. 27 ივნისის დადგენილების საფუძველზე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ის, აჭარისტანის ასსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, საერაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო და სასოფლო საბჭოებს გაატარონ საჭირო ღონისძიებანი საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მასობრივი მუშაობისა და საორგანიზაციო აპარატის გარდაქმნისათვის შემდეგ საფუძვლებზე:

1. უზრუნველყონ სექციებისა და სადეპუტატო ჯგუფების, როგორც საბჭოთა მუშაობაში მასების ჩაბმის ძირითადი ფორმების, გაშლა და თანდათან გადააქციონ ისინი სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა დარგების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების მასობრივ აპარატად.

2. პროფესიონალურ კავშირებთან ერთად გააძლიერონ აპარატში მუშების სოციალისტური შეთავსებისა და ამ აპარატზე მუშების შეფობის შემდგომი განვითარება.

3. აწარმოონ აღმასრულებელ კომიტეტებთან და მათ განყოფილებებთან საბჭოთა მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირების პერიოდული მოწვევის პრაქტიკა, საუკეთესო დამკვრელთა და პროფესიონალური, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა საქმეში ჩაბმით,—გამოცდილების გასაზიარებლად და ცალკეული კონკრეტული საკითხების დასამუშავებლად.

4. სასოფლო, საქალაქო და საერაიონო საბჭოების სექციების მოწყობის დროს იმოქმედონ ადგილობრივი პირობების მიხედვით. ამასთანავე სავალდებულოა სექციების მოწ[illegible]ა ამა თუ იმ ადგილის მეურნეობის, მმართველობისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის უმთავრესი დარგების მიხედვით.

5. საქალაქო და საერაიონო საბჭოებთან ეწყობა შემდეგი სექციები: 1) სამრეწველო, 2) საბინაო, 3) კეთილმოწყობის, 4) კომუნალურ საწარმოთა, 5) საფინანსო, 6) სახალხო განათლების, 7) ჯანმრთელობის, 8) საზოგადოებრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვების, 9) სავაჭრო-საკოოპერაციო, 10) გარეუბნის მეურნეობის, 11) ტრანსპორტის, 12) კავშირგაბმულობის, 13) რევოლუციონური კანონიერების, 14) თავდაცვის.

6. სასოფლო საბჭოებთან ეწყობა, შემდეგი სექციები: 1) მემინდვრეობის, 2) ტექნიკური კულტურების, 3) მეცხოველეობის, 4) კულტურული, 5) კეთილმოწყობის, 6) საფინანსო, 7) სავაჭრო-სადამზადებლო, 8) საგზაო, 9) კავშირგაბმულობის, 10) რევოლუციონური კანონიერების, 11) თავდაცვის.

7. სექციების ძირითად ამოცანას წარმოადგენს: მშრომელთა ჩაბმა პრაქტიკულ მუშაობაში სოციალისტური მშენებლობის ცალკეულ დარგებზე; პარტიის, მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების მასობრივი კონტროლის მოწყობა; ხელის შეწყობა პარტიული და საბჭოთა კონტროლის კომისიების მუშაობისათვის.

8. სექციების შედგენილობაში ჩაბმულ უნდა იქნენ საბჭოების წევრებთან და მათ კანდიდატებთან ერთად, მშენებლობის სათანადო დარგებში მომუშავე საუკეთესო დამკვრელები, კერძოდ ქალები, ახალგაზრდობა და სპეციალისტები, წარმომადგენლები ქვედა მასობრივი უჯრედებისა (სასკოლო საბჭოები, ჯანმრთელობის უჯრედები, სადუქნო კომისიები და სხვ.) და სათანადო დაწესებულებათა პროფესიონალურ კავშირთა და ნებაყოფლობით საზოგადოებათა წარმომადგენლები.

9. დაევალოს საქართველოს სსრ და ავტონომიურ რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატებსა და სხვა ცენტრალურ ორგანოებს, აგრეთვე მათ ადგილობრივ ორგანოებს, თავიანთ ღონისძიებათა გატარების დროს, დაეყრდნონ საბჭოების სათანადო სექციებსა და გაუწიონ მათ ყოველდღიური დახმარება მუშაობაში.

10. სადეპუტატო ჯგუფები, რომლებიც აერთიანებენ, ისე როგორც სექციები, საბჭოების გარშემო საბჭოთა აქტივს, მოეწყობა ყველა საწარმოში, ახალშენში, ტყის დასამუშავებელ პუნქტზე, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურში, დაწესებულებაში, უმაღლეს სასწავლებლებში და სხვ., უკეთუ იქ არის საბჭოს თუნდაც ერთი წევრი.

11. ქ. ტფილისში, გარდა წინა მუხლში აღნიშნული სადეპუტატო ჯგუფებისა, ეწყობა საქვერაიონო სადეპუტატო ჯგუფები, რომლებიც აერთიანებენ დეპუტატებს მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და აბამენ საქალაქო და სარაიონო საბჭოების მუშაობაში ორგანიზებულ ამომრჩევლებთან ერთად „არაორგანიზებულ“ ამომრჩევლებსაც—მუშა-მოსამსახურეთა ცოლებს და სხვ.

12. სადეპუტატო ჯგუფების ძირითად ამოცანას შეადგენს დამკვრელთა აქტივის დარაზმვა დეპუტატების გარშემო ბრძოლის საწარმოებლად საწარმოო დავალებათა უკეთესად შესრულებისათვის საწარმოში, კოლმეურნეობაში, დაწესებულებაში, მონაწილეობის მისაღებად მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობაზე მუშაობაში და მათ ჩასაბმელად სახელმწიფო მმართველობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. საბჭოების წევრები და მათი კანდიდატები, საბჭოთა სადეპუტატო ჯგუფებისა და სექციების წევრები უნდა იყვნენ დამკვრელობისა და სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები და ორგანიზატორები; ისინი ვალდებულნი არიან თავისი პირადი მაგალითით აჩვენონ შრომისადმი სოციალისტური მიდგომის ნიმუში, ეცადონ ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას, მიიღონ ყოველგვარი ზომები შენიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და მუშაობის გასაუმჯობესებლად სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, რეგულარულად წარუდგინონ ამომრჩევლებს ანგარიში თავისი საქმიანობის შესახებ.

14. საქალაქო საბჭოები და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები საბჭოთა პლენუმების, სექციებისა და სადეპუტატო ჯგუფების სხდომებისათვის აწესებენ ერთიან საბჭოთა დღეს.

15. საბჭოთა საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის ხელმძღვანელობის განსახორციელებლად აფხაზეთის ასსრ, აჭარისტანის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ატონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან, აგრეთვე ტფილისის, ქუთაისის და ბათომის საქალაქო საბჭოებთან ეწყობა საორგანიზაციო განყოფილებები. საქართველოს სსრ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და დანარჩენ საქალაქო საბჭოებთან, საორგანიზაციო განყოფილებათა ნაცვლად, გამოიყოფა საინსტრუქტორო ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ სარაიონო აღმასრუბელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის ან მისი მოადგილის უშუალო ხელმძღვანელობით.

16. ყოველგვარად განმტკიცებულ იქნეს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და ზემოხსენებული საქალაქო საბჭოების საორგანიზაციო განყოფილებები და დაევალოს მათ:

ა) საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის საკითხებზე ღონისძიებათა დამუშავება და სათანადო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საბჭოების დირექტივების და დავალებების შესრულება;

ბ) სექციებისა და სადეპუტატო ჯგუფების მეშვეობით მშრომელთა ფართო მასების მიზიდვა და დარაზმვა სოციალისტურ მშენებლობაში და სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის მისაღებად; ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ საქმეში ქალების მიზიდვას;

გ) საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის საკითხებზე პარტიის, მთავრობისა და სათანადო აღმასრულებელი კომიტეტების და საბჭოების გადაწყეტილებათა შესრულების შემოწმება;

დ) ხელის შეწყობა პროფესიონალური კავშირებისათვის სახელმწიფო აპარატზე მუშათა შეფობის მოწყობაში; მოწყობა პროფესიონალურ კავშირებთან ერთად სოციალისტური შეთავსებისა სახელმწიფო აპარატში; ხელის შეწყობა პროფესიონალური კავშირებისათვის მასობრივი კონტროლის განხორციელების

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეში და კომკავშირის „მსუბუქი კავალერიისათვის“—საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებასა და მის ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლაში;

ე) მუშათა და კოლმეურნეთა მოზარდი კადრების გამომჟღავნება და აღრიცხვა და მათი დაწინაურება საპასუხისმგებლო სამუშაოებზე საბჭოებსა და აღმასრულებელ კომიტეტებში.

17. აღმასრულებელი კომიტეტებისა და საბჭოების ინსტრუქტორთა მუშაობა უნდა მოეწყოს ტერიტორიალურ-დარგობრივი ნიშნების მიხედვით.

ინსტრუქტორები ვალდებული არიან ცოცხალი კავშირი დაამყარონ ქვემდებარე ორგანოებსა და იმ აღმასრულებელ კომიტეტებსა და საბჭოებს შორის, რომლებთანაც ისინი ირიცხებიან; ამასთანავე ისინი არ უნდა დაკმაყოფილდენ ქვემდებარე ორგანოთა მუშაობის მდგომარეობის უბრალო შესწავლით, არამედ უნდა დაეხმარონ ამ მუშაობას, მოაწყონ იგი და ხელმძღვანელობა გაუწიონ.

18. დამყარდეს, როგორც წესი, რომ საბჭოთა კადრებზე მუშაობა, საალრიცხვო-საინფორმაციო მუშაობა, მუშაობა ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ დაყოფისა და აღმასრულებელი კომიტეტების და საბჭოების აპარატის რაციონალიზაციისა და გაუმჯობესების საკითხებზე თავმოყრილ უნდა იყოს და სწარმოებდეს საორგანიზაციო განყოფილებებში.

19. საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეები ინიშნებიან სათანადო აღმასრულებელი კომიტეტების ან საბჭოების პრეზიდიუმის წევრთა რიცხვიდან, პასუხისმგებელი ინსტრუქტორები კი უმთავრესად აღმასრულებელი კომიტეტის ან საბჭოს წევრთა შედგენილობიდან.

სოციალისტურ მშენებლობაში ქალების ჩაბმისათვის საორგანიზაციო განყოფილების მუშაობის გასაძლიერებლად განყოფილების შედგენილობაში გამოყოფილ იქნეს გამგის სპეციალური თანაშემწე.

20. ვინაიდან საქართველოს სსრ ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-მეურნეობრივი დონის შემდგომ ამაღლებასა და ამ უმცირესობათა ჩაბმას წარმოებასა და მმართველობის ორგანოებში დიდი მნიშვნელობა აქვს, ეროვნულ უმცირესობათა შორის ადგილობრივი მუშაობა დაეკისროს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების საორგანიზაციო განყოფილებებს, რომლებშიც ამ მიზნისთვის გამოყოფილ იქნეს განსაკუთრებული ინსტრუქტორები.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. აგვისტოს 15.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30/V-72 ტ54 w5 მუხ 71

205. დადგენილება ც.ა.კ.

საქალაქო საბჭოების სადეპუტატო ჯგუფების დებულების შეცვლის შესახებ.

საბჭოების საორგანიზაციო მუშაობის შესახებ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წ. 27 მაისის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 31 №-ი, მუხ. 234) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დებულებაში საქალაქო საბჭოების სადეპუტატო ჯგუფების შესახებ (საქ. სსრ კან, კრ. 1933 წ. 2 №-ი, მუხ. 28) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. 1, 2 და 6 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქალაქო საბჭოების სადეპუტატო ჯგუფები წარმოადგენენ საქალაქო საბჭოების ძირეულ უჯრედებს საწარმოებსა და დაწესებულებებში, რომელთა მეშვეობითაც საქალაქო საბჭოები დეპუტატების გარშემო რაზმავენ დამკვრელთა აქტივს საწარმოო დავალებათა საუკეთესოდ შესრულებისათვის, მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გამაუმჯობესებელ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად და სახელმწიფო მმართველობაში მათ ჩასაბმელად“.

„2. სადეპუტატო ჯგუფები ეწოყბა ყველა ფაბრიკასა და ქარხანაში, რკინის გზის ტრანსპორტსა და სხვა საწარმოში, ახალშენში, დაწესებულებაში, უმაღლეს სასწავლებელში და სხვ., უკეთუ მათში არის საქალაქო საბჭოს ან ქალაქის სარაიონო საბჭოს თუნდაც ერთი წევრი ან კანდიდატი“.

„6. სადეპუტატო ჯგუფები ასრულებენ შემდეგ ძირითად ამოცანებს:

ა) ახდენენ საბჭოთა საზოგადოებრიობის მობილიზაციას და რაზმავენ მას თავისი საწარმოს და დაწესებულების სამრეწველო-საფინანსო გეგმისა და აგრეთვე მათთან დაკავშირებული საწარმოების და დაწესებულებების სამრეწველო-საფინანსო გეგმების შესრულებისათვის საბრძოლველად;

ბ) ღებულობენ ზომებს საქალაქო (და ქალაქის სარაიონო) საბჭოს და ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად ამ საწარმოსა და დაწესებულებაში;

გ) მონაწილეობას ღებულობენ იმ საწარმოს და დაწესებულების მუშაკთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა გატარებაში, რომლებშიც მოწყობილია სადეპუტატო ჯგუფები, და ანხორციელებენ საზოგადოებრივ კონტროლს ამ მომსახურეობის გამტარებელ დაწესებულებათა მუშაობაზე;

დ) თვალყურს ადევნებენ იმ საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების მიერ მიცემული განაწესების ცხოვრებაში გატარებას, სადაც მოწყობილია სადეპუტატო ჯგუფები, ცდილობენ და ხელს უწყობენ ამ განაწესების შესრულებას;

ე) ამაგრებენ საქალაქო (და სარაიონო) საბჭოს ყოველდღიურ კავშირს ამომრჩეველთა ფართო მასებთან და აბამენ მათ საბჭოთა მუშაობაში, კერძოდ, აწყობენ საქალაქო და სარაიონო საბჭოს მოხსენებას თავისი საწარმოს და დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთათვის;

ვ) ატარებენ ღონისძიებებს მუშებისაგან საბჭოთა კადრების (სოციალისტური შემთავსებლების, შტატგარეშე ინსტრუქტორების და სხვ.) მოსამზადებლად".

2. მუხ. 3 ამოიშალოს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1934 წ. აგვისტოს 15.
ტფილისი.

---

206. დადგენილება ც.ა.კ.

საქართველოს სსრ სასოფლო საბჭოების დებულების შეცვლის შესახებ.

საბჭოების საორგანიზაციო მუშაობის შესახებ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წ. მაისის 27-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 31 №-ი, მუხ. 234), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სასოფლო საბჭოების დებულებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 9 №-ი, მუხ. 66; 1934 წ. 19 №-ი, მუხ. 157) შემდეგი ცვლილებანი:

1. მუხ. 62 და 63 შეცვლილ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„62. სასოფლო საბჭოსთან ეწყობა შემდეგი სექციები, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოს ძირითად მასობრივ ორგანოებს:

ა) მემინდვრეობის, ბ) მეცხოველეობის, გ) ტექნიკური კულტურების, დ) კულტურული, ე) კეთილმოწყობის, ვ) საფინანსო, ზ) სავაჭრო-სადამზადებლო, თ) საგზაო, ი) კავშირგაბმულობის, კ) რევოლუციური კანონიერების, ლ) თავდაცვის.

სასოფლო საბჭოს უფლება აქვს ჩამოთვლილ სექციათაგან, ადგილობრივი პირობების მიხედვით, არ მოაწყოს ესა თუ ის სექცია, მაგრამ ამასთანავე უფლება აქვს იქონიოს სხვა სექციებიც, ან გააერთიანოს მომიჯნავე დარგებში მომუშავე სექციები. ხოლო ამა თუ იმ ადგილობრივი მეურნეობის, მმართველობისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა მთავარი დარგის სექციების მოწყობა სავალდებულოა".

„63. სასოფლო საბჭოების სექციათა ძირითად ამოცანას წარმოადგენს: სოფლის მშრომელი მასების ჩაბმა საბჭოს პრაქტიკულ მუშაობაში სოციალისტური მშენებლობის ცალკეულ დარგებზე; მასობრივი კონტროლის მოწყობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის, მთავრობისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის; ხელის შეწყობა პარტიული და საბჭოთა კონტროლის კომისიების მუშაობისათვის".

2. 64 მუხლში სიტყვები: „რათა ყოველნაირად ხელი შეუწყოს იმ ამოცანების გადაწყვეტას, რაც სასოფლო საბჭოს წინაშე დგას" შეიცვალოს სიტყვებით: „მათზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად".

3. მუხ. 67 და 83 (ნაწ. 1) შეიცვალოს შემდეგი რედაქციით:

„67. 66 მუხლში აღნიშნულ პირთა გარდა სექციების შედგენილობაში ნებაყოფლობითი წესით მოწვეულ უნდა იქნენ:

ა) კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და სამრეწველო საწარმოთა საუკეთესო დამკვრელები, კერძოდ, მუშა-ქალები, კოლმეურნე-ქალები, ახალგაზრდობა, სპეციალისტები და სხვ.;

ბ) ღარიბ-საშუალო გლეხობის აქტივი;

გ) ქალთა სადელეგატო კრებების წარმომადგენლები;

დ) საკავშირო კომპარტიის (ბ) და საკავშირო კომკავშირის უჯრედების წარმომადგენლები;

ე) პროფესიონალური კავშირებისა და ნებაყოფლობითი საზოგადოების წარმომადგენლები;

ვ) სასოფლო საბჭოებთან არსებულ სარევიზიო კომისიის წევრები და კანდიდატები;

ზ) სათანადო დაწესებულებათა ძირეული მასობრივი უჯრედების (სასოფლო საბჭოები, ჯანმრთელობის უჯრედი, სადუქნე კომისია და სხვ.) წარმომადგენლები;

ი) მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, მიწისმზომლები და სხვ."

83 (ნაწ. 1) „სასოფლო საბჭოს პრაქტიკულ მუშაობაში იმ სოფლების მშრომელთა ჩასაბმელად, სადაც სასოფლო საბჭო არ არის, ამ სოფლებში მოეწყობა სოფლობრივი სექციები".

4. 85 მუხლის პუნქტი „ა" შეიცვალოს შემდეგი რედაქციით:

[85. სოფლობრივი სექცია ეწყობა და მუშაობს იმ წესით, რაც დადგენილია სასოფლო საბჭოსთან არსებული სექციებისათვის, ამასთანავე...]

„ა) სოფლობრივი სექცია თავის საქმიანობას ავრცელებს სოფლის ცხოვრების და მშენებლობის ყველა დარგზე, მათ შორის პირველ რიგში სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაზე".

5. მუხ. 86, 87, 88 და 108 შეიცვალოს შემდეგი რედაქციით:

„86. სადეპუტატო ჯგუფები ეწყობა სოფლის ტერიტორიაზე არსებულ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე, დაწესებულებებში, საწარმოებში, ახალშენებში, ტყის დასამუშავებელ პუნქტებზე და სხვ., უკეთუ მათში არის თუნდაც ერთი დეპუტატი ან დეპუტატის კანდიდატი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

„87. დეპუტატთა ჯგუფები შესდგებიან კოლმეურნეობის წევრთაგან, საბჭოთა მეურნეობათა, სამრეწველო საწარმოთა და სხვ. მუშაკთაგან, რომელნიც იმავე დროს არიან სასოფლო საბჭოს წევრები ან კანდიდატები, სასოფლო საბჭოს სექციების წევრები, სასოფლო საბჭოსთან არსებული სარევიზიო კომისიის წევრები ან კანდიდატები, ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტების წევრები ან კანდიდატები, სახალხო მსაჯულები, საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს წევრები, დარგობრივი ძირეული მასობრივი უჯრედების წევრები და სხვ. ამგვ“.

„88. სადეპუტატო ჯგუფების ძირითად ამოცანას წარმოადგენს დამკვრელთა აქტივის დარაზმვა დეპუტატების გარშემო საწარმოო დავალებათა უკეთ შესრულებისათვის საბრძოლველად კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, საწარმოში, დაწესებულებაში, მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაუმჯობესების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად და მათ ჩასაბმელად სახელმწიფო მმართველობაში.

ამ ამოცანათა შესასრულებლად სადეპუტატო ჯგუფები ანხორციელებენ შემდეგ მუშაობას:

ა) თვალყურს ადევნებენ, რათა კოლმეურნეობებმა, სამრეწველო საწარმოებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვ. შეასრულონ თავიანთი საწარმოო გეგმები და აგრეთვე სასოფლო საბჭოს და ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების დადგენილებანი;

ბ) დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამრეწველო საწარმოებს მათი მუშაობის გაუმჯობესებაში (მეურნეობის, შრომის, ყოფა-ცხოვრების ორგანიზაცია და სხვ.); შეაქვთ სასოფლო საბჭოში და აგრეთვე აღნიშნული ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოში წინადადებები ამ ორგანიზაციათა მუშაობის გაუმჯობესების შესახებ;

გ) აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ კოლმეურნეობის საწარმოო თათბირებისა და სხვა კომისიების მუშაობაში და აგრეთვე სამრეწველო საწარმოებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო თათბირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში;

დ) აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ დამკვრელი ბრიგადების მოწყობასა და მათ მუშაობაში, სოციალისტურ შეჯიბრებაში, აგრეთვე სამრეწველო საწარმოებში და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობის გაცდენასთან წარმოებულ ბრძოლაში;

ე) მონაწილეობას ღებულობენ ღონისძიებათა გატარებაში კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობათა, საწარმოთა და სხვათა მუშაკების კულტურული და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გასაუმჯობესებლად და ანხორციელებენ კონტროლს ამ მომსახურეობის გამტარებელ დაწესებულებათა მუშაობაზე;

ვ) აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ იმ სამხედრო მუშაობაში, რაც კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში და სხვ. ტარდება.

ზ) აწარმოებენ ბრძოლას კულაკურ-კაპიტალისტური და სხვა კლასობრივად მტრული ელემენტების ნაშთებთან;

თ) თვალყურს ადევნებენ, რათა კოლმეურნეობებმა შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე;

ი) თვალყურს ადევნებენ ამომრჩეველთა განაწესების ცხოვრებაში გატარებას;

კ) აწყობენ კოლმეურნეებისათვის და იმ ორგანიზაციათა მუშაკებისათვის, სადაც მოწყობილია სადეპუტატო ჯგუფები, მოხსენებებს სასოფლო საბჭოს საქმიანობის შესახებ".

„108. სასოფლო საბჭოს წევრები და კანდიდატები, როგორც მშრომელთა ფართო მასების წარმომადგენელნი, ვალდებულნი არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასოფლო საბჭოს, მისი სექციების და სადეპუტატო ჯგუფების ყოველდღიურ მუშაობაში: ვალდებული არიან იყვნენ დამკვრელობისა და სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები და ორგანიზატორები, უჩვენებდენ შრომისადმი სოციალისტური მიდგომის ნიმუშს საწარმოში და თავისი პირადი მაგალითით რაზმავდენ მშრომელთა მასებს სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა შესასრულებლად.

სასოფლო საბჭოს წევრები და კანდიდატები ვალდებული არიან მუდმივი კავშირი იქონიონ ამომრჩევლებთან და ცდილობდენ და ხელს უწყობდენ ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას".

სრ. საქ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. აგვისტოს 15.

ტფილისი.

---

207. დადგენილება ც.ა.კ.

სასოფლო საბჭოებთან მეცხოველეობის სექციების მოწყობის და მათ შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოეწყოს ყველა სასოფლო საბჭოსთან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მეცხოველეობის დამოუკიდებელი სექციები.

2. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს დებულება სასოფლო საბჭოებთან არსებული მეცხოველეობის სექციების შესახებ.

სრ. საქ ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ ც. ა. კ ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. აგვისტოს 15.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სასოფლო საბჭოსთან არსებული მეცხოველეობის სექციების შესახებ.

I. მეცხოველეობის სექციების ორგანიზაცია

1. სასოფლო საბჭოებთან არსებული მეცხოველეობის სექციები წარმოადგენენ მასობრივ ორგანიზაციებს, რომელთა მეშვეობით სასოფლო საბჭოები აბამენ სოფლის მშრომელთა ფართო მასებს და, პირველ რიგში, კოლმეურნეებს, ერთპიროვნულ მეურნეებს, ღარიბებსა და საშუალო გლეხებს, განსაკუთრებით კი ქალებს, თავის პრაქტიკულ მუშაობაში მეცხოველეობის, როგორც ამ ეტაპის სოციალისტური მშენებლობის პირველი რიგის ამოცანის, აღორძინებისა და განმტკიცებისათვის.

2. მეცხოველეობის სექცია ეწყობა და მოქმედობს სასოფლო საბჭოებთან სასოფლო საბჭოს სექციების ორგანიზაციისა და მუშაობისათვის დაწესებულ საერთო საფუძველზე (დებულება საქართველოს სსრ სასოფლო საბჭოების შესაბ, თ. IV.—საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 9, მუხ. 66) და აგრეთვე ამა დებულების წესების მიხედვით.

3. მეცხოველეობის სექციების ამოცანას წარმოადგენს: ხელი შეუწყონ ყველა სახის მეცხოველეობის განვითარებას (მესაქონლეობას, მეცხვარეობას, მეცხენეობას და სხვ.), განსაკუთრებით კი მისი დარგების განვითარებას (მეღორეობა და სხვ.), დაამუშაონ და გაატარონ მეცხოველეობის გ ა დ ი დ ე ბ ი ს ა და გაუმჯობესების ღონისძიებანი, როგორც კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში, ისე ერთპიროვნულ შრომითს მეურნეობებში, ხელი შეუწყონ მეცხოველეობის კოოპერირება-კოლექტივიზაციას.

II. მეცხოველეობის სექციების გამგებლობის საგნები.

4. საქონლის სულადობის გადიდებისა და ნამატების შენახვის მიზნით მეცხოველეობის სექციები:

ა) ამუშავებენ დაგრილვის კამპანიების საუკეთესოდ მოწყობის ღონისძიებებს და ყველა კოლმეურნისა და ერთპიროვნული მეურნის ყურადღებას აპყრობენ ამ კამპანიების საკითხებზე;

ბ) ხელს უწყობენ საუკეთესო სანაშენო საქონლის გამოზრდას იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათ მიერ კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა ნახირის დედა-საქონლ ის სულადობა;

გ) ამუშავებენ და ატარებენ ღონისძიებებს საქონლის ნამატის შესანახად და კოლმეურნეობებში ახალგაზრდა საქონლის განიავების წინააღმდეგ საბრძოლველად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ეწევიან იმ ღონისძიებათა პროპაგანდას, რაც უზრუნველჰყოფს საქონლის საუკეთესოდ შენახვას, მოვლასა და გამოკვებას, და იბრძვიან მეცხოველეობის ახალი სოციალისტური კულტურის ჩასანერგავად კოლმეურნეობებში (საქონლისა და ბინის სისტემატური წმენდა, ბინის გამზეურება და დეზინფექცია, საკვების გარეცხვა, ვეტაფთიაქების შეძენა, ახალგაზრდა საქონლის ჰიგიენური მოვლა, კვების წესებისა და ნორმების დაცვა და სხვ.);

ე) ახდენენ კოლმეურნეთა, ერთპიროვნულ მეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ყურადღების მობილიზაციას მეცხოველეობის ხარისხობრივი მაჩვენებლების აწევის საკითხების გარშემო: მოწველის, გასუქების, ახალგაზრდა საქონლის ზრდისა და სხვ.;

ვ) იზიდავენ კოლმეურნეთა ფართო მასებს მონაწილეობის მისაღებად უძროხო კოლმეურნეებისათვის სახელმწიფო დახმარების საქმეში, ამ მიზნისათვის ხბოების შესყიდვისა და კონტრაქტაციის მოწყობაში; ხელს უწყობენ კოლმეურნეთა მომარაგების ღონისძიებებს ღორებით, ცხვრებით, თხებით და სხვ.—ინდივიდუალური სარგებლობისათვის.

5. შრომის სწორი ორგანიზაციისათვის მეცხოველეობის კოლმეურნეობებში, სასაქონლო ფერმებში და განსაზოგადოებულ ნახირის მყოლ კოლმეურნეობაში მეცხოველეობის სექციები:

ა) ხელს უწყობენ მუდმივი საწარმოო ბრიგადების ჩამოყალიბებას და მუშაობას; ამოწმებენ მეცხოველეობის ბრიგადებისა და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების მუშაკთა შედგენილობას;

ბ) ანხორციელებენ კონტროლსა და ხელს უწყობენ გაუპიროვნების, დენადობის, ხელფასის გათანაბრების ლიკვიდაციას, ინდივიდუალური სანარდო მუშაობის ჩატარებასა და შრომის ხელფასის პრემიალურად განაღდებას ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის.

6. საჯიშო საქმის განსავითარებლად მეცხოველეობის სექციები:

ა) ამუშავებენ საქონლის ჯიშის გაუმჯობესების ღონისძიებებს;

ბ) ხელს უწყობენ ჯიშიანი მწარმოებლების შეძენას სარძეო სასაქონლო ფერმების, კოლმეურნეობების, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების და სხვ. მიერ;

გ) ხელს უწყობენ და კონტროლს უწევენ საჯიშო ფერმების მუშაობას.

7. მეცხოველეობის საკვები ბაზის განვითარებისა და სწორი მოწყობის მიზნით მეცხოველეობის სექციები:

ა) ხელს უწყობენ სოფლის საბალახოებისა და საძოვრების გაუჯობესებას, მათ სწორედ გამოყენებასა და მიმაგრებას ხანგრძლივი სარგებლობისათვის იმ პირებზე, რომლებიც ამ საბალახოებით და საძოვრებით სარგებლობდენ; თვალყურს ადევნებენ დადგენილი აგროზოოვეტსაძოვრული წესების დაცვას მოსარგებლეთა მიერ;

ბ) ღებულობენ ზომებს ბალახის თესვისა და ბალახის მეთესლეობის განვითარებისათვის, რისთვისაც დაწვრილებით უხსნიან კოლმეურნეებს და ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიროვნულ მეურნეებს მთავრობის დადგენილებებს მრავალწლიანი ბალახების თესლის მიღების შესახებ სახელმწიფოსათვის მარცვლის სავალდებულო მიწოდების ანგარიშში და ბალახის მთესველთათვის თესლეულზე შეღავათების შესახებ; ზომებს ღებულობენ აგრეთვე ძირნაყოფასა და სასილოსე კულტურების განვითარებისათვის;

გ) მონაწილეობას ღებულობენ თივის აღების კამპანიის ჩატარებაში;

დ) ამუშავებენ ადგილობრივი სხვა საკვები რესურსების (რკო, წიწიბო, მებოსტნეობის ნაყარი და სხვ.) მობილიზაციის ღონისძიებებს;

ე) ხელს უწყობენ საკვები კულტურების დასილოსების გეგმის შესრულებას;

ვ) ღებულობენ ზომებს ცხვრის გარდამავალი საშემოდგომო-საგაზაფხულო საძოვრების დასაცავად;

ზ) ეხმარებიან თივის ხელუხლებელი ფონდების შექმნას ცხვრის საზამთრო სადგომ ადგილებზე (სუსხიანი ზამთრის შემთხვევისათვის).

8. მეცხოველეობის ზოოვეტერინარული მომსახურეობის დარგში მეცხოველეობის სექციები:

ა) ღებულობენ ზომებს საქონლისათვის სწორი ვეტერინარული მომსახურეობის გასაწევად, მონაწილეობას ღებულობენ ეპიზოოტიასთან ბრძოლაში და ვეტერინარულ-პროფილაქტიური სამუშაოების მოწყობაში (საქონლის აცრა და სხვ.);

ბ) ხელს უწყობენ სავეტერინარო დაწესებულებათა მშენებლობას;

გ) ეხმარებიან ზოოტექნიკოსებისა და ვეტმუშაკების მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნას (ბინა, მიმოსვლის საშუალებები და სხვ.).

9. მეცხოველეობის საერთო ღონისძიებათა დარგში მეცხოველეობის სექციები:

ა) ამუშავებენ სოციალისტური მეცხოველეობის განვითარების გეგმებს სასოფლო საბჭოს და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი დირექტივებით;

ბ) აქტიურ მონაწილეობას იღებენ კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა შორის ვეტერინალური უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის გაშლაში; ეხმარებიან ვეტსანიტარების მოსამზადებელი კურსების მოწყობას და კოლმეურნეობებსა და ფერმებში ზოოტექნიკური სწავლების ორგანიზაციას;

გ) ხელს უწყობენ სასოფლო საბჭოების ზოოვეტორწმუნებულთა და კოლმეურნეობებთან არსებული მეცხოველეობის ხარისხის ინსპექციის მუშაობას;

დ) დახმარებას უწევენ სათანადო ორგანოებს საქონლის სულადობის აღრიცხვის ჩატარებაში და აქტიურ მონაწილეობას იღებენ კოლმეურნეობებში, კოლმეურნეებთან და ერთპიროვნულ მეურნეობებში საქონლის აღრიცხვის შედეგების საზოგადოებრივ შემოწმებაში;

ე) ატარებენ ღონისძიებებს, რაც უზრუნველჰყოფს მეცხოველეობის პროდუქციის სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმის 100%-ით შესრულებას; უმარტავენ კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეებს მეცხოველეობის პროდუქციის მეტიკეცე მიწოდებათა წესს და მეცხოველეობაში მთავრობის მიერ მიცემულ შეღავათებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ან დაზღვევის ჩატარების დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

208. დადგენილება ც.ა.კ.

სასოფლო საბჭოებთან არსებული სარევიზიო კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე ქვემომოყვანილი დებულება სასოფლო საბჭოებთან არსებული სარევიზიო კომისიების შესახებ.

სრ. საქ ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ელენტი.**

1934 წ. აგვისტოს 15.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სასოფლო საბჭოებთან არსებული სარევიზიო კომისიების შესახებ

I. სარევიზიო კომისიების ორგანიზაცია და შედგენილობა.

1. სარევიზიო კომისიები არსდება სასოფლო საბჭოებთან.

2. სასოფლო სარევიზიო კომისიების უშუალო ამოცანას შეადგენს: ამომრჩეველთა ფართო მასების ნამდვილი და სისტემატური კონტროლის განხორციელება სასოფლო საბჭოს და მის ქვემდებარე დაწესებულებათა და საწარმოთა სამეურნეო-საფინანსო მუშაობაზე და აგრეთვე სასოფლო საბჭოების მასობრივი მუშაობის დაყენებაზე.

3. სასოფლო სარევიზიო კომისიებს ირჩევენ 5 წევრისა და მათი 2 კანდიდატის შედგენილობით ამომრჩეველთა საერთო კრებებზე, სასოფლო საბჭოს არჩევასთან ერთდროულად, იმავე წესითა და რწმუნებულების იმავე ვადით.

იმ სასოფლო საბჭოებში, სადაც საარჩევნო უბნების რიცხვი ხუთზე მეტია, სასოფლო სარევიზიო კომისიების წევრთა და მათ კანდიდატთა არჩევის წესს ამყარებენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები.

4. სასოფლო სარევიზიო კომისიების წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს ყველა მოქალაქე, რომელიც საარჩევნო უფლებას არ არის მოკლებული, გარდა:

ა) იმ სასოფლო საბჭოს წევრებისა და კანდიდატებისა, რომელთანაც ეწყობა სარევიზიო კომისია;

ბ) ამ მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული პირების მშობლებისა, მეუღლისა, დებისა, ძმებისა და შვილებისა;

გ) საქვეკონტროლო სასოფლო საბჭოს მუშაკებისა და მათ გამგებლობაში მყოფ დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ამ სასოფლო საბჭოს ყოფილი წევრებისა და კანდიდატებისა, აგრეთვე ამ სასოფლო საბჭოს ყოფილი მუშაკებისა—ერთი წლის განმავლობაში დღიდან მათ მიერ თანამდებობის დატოვებისა;

ე) სარაიონო საადგილ-მამულო კომისიების წევრებისა.

5. სარევიზიო კომისიის წევრები შეიძლება მოხსნილ იქნენ სამუშაოდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ აღმოჩნდება ცხადი დაუდევრობა მათზე დაკისრებული მოვალეობისადმი, ან თუ ისინი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული სისხლის სამართლის წესით. ამ შემთხვევებში სასოფლო სარევიზიო კომისიების წევრები თანამდებობიდან უნდა მოიხსნან ამომრჩეველთა საერთო კრების დადგენილებით.

6. თავის შედგენილობიდან სარევიზიო კომისიის წევრები ირჩევენ თავმჯდომარესა და მდივანს.

7. სარევიზიო კომისიები მუშაობის დროს სარგებლობენ სათანადო სასოფლო საბჭოს აპარატით.

II. სარევიზიო კომისიების ურთიერთობა სექციებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

8. სარევიზიო კომისიები მჭიდრო კავშირით მუშაობენ სათანადო სასოფლო საბჭოების სექციებთან, ათანხმებენ თავისი მუშაობის გეგმებს სექციების მუშაობის გეგმებთან და აბამენ სექციებს თავის სამუშაოებში უშუალო მონაწილეობის მისაღებად.

9. სარევიზიო კომისიათა მუშაობაში აუცილებლად უნდა იქნენ ჩაბმული კოლმეურნეთა, სოფლის ღარიბ-საშუალო ფენათა და მშრომელ ქალთა წარმომადგენლები, აგრეთვე პროფესიონალური და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

III. სასოფლო სარევიზიო კომისიების მოვალეობანი და უფლებანი.

10. სარევიზიო კომისიები ასრულებენ შემდეგ სამუშაოს:

ა) მეთვალყურეობას უწევენ სასოფლო საბჭოების საქმიანობას სასოფლო მეურნეობის და კოლმეურნეობრივი მშენებლობის განმტკიცებისა და განვითარების ღონისძიებათა გატარების დარგში და სხვადასხვაგვარი კამპანიების (თესვის, დამზადებისა და სხვ.) ჩატარებაში; მეთვალყურეობას უწევენ სასოფლო საბჭოების მუშაობას აგრეთვე სახელმწიფო სესხის სოფლად გავრცელებაში, სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროებში საანაბარო ოპერაციების განვითარების დარგში, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ოპერაციების დარგში; მეთვალყურეობას უწევენ აგრეთვე სახელმწიფო სესხებიდან სასოფლო ბიუჯეტში ანარიცხების გადადებას და ამ ანარიცხების სწორედ გამოყენებას;

ბ) ამოწმებენ, რამდენად არიან ჩაბმული სასოფლო საბჭოს მუშაობაში მშრომელთა ფართო მასები და, პირველ რიგში, კოლმეურნეები და სოფლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღარიბ-საშუალო ფენები; რამდენად აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სასოფლო საბჭოს წევრები და კანდიდატები საბჭოს და მისი ორგანოების მუშაობაში; როგორ არიან მოწყობილი და როგორ აქვთ გაშლილი მუშაობა სასოფლო საბჭოებთან არსებულ სექციებს, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან და სამრეწველო საწარმოებთან არსებულ სადეპუტატო ჯგუფებს, კოლმეურნეობებთან არსებულ საამხანაგო სასამართლოებს, და რამდენად სწორია ამ მასობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობა სასოფლო საბჭოს მხრით;

გ) ამოწმებენ, რა დახმარებას უწევენ „გ" პუნქტში აღნიშნული ორგანიზაციები სასოფლო საბჭოს მაზე დაკისრებულ ამოცანათა განხორციელების საქმეში;

დ) ამოწმებენ ამომრჩეველთაგან მიცემული განაწესებისა და ხელისუფლების სარაიონო და ზემდგომ ორგანოთა დადგენილებების შესრულებას სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის დარგში სასოფლო საბჭოებისა და მათი ქვემდებარე დაწესებულებების და საწარმოების მიერ;

ე) ამოწმებენ სასოფლო საბჭოების გამგებლობაში მყოფ საწარმოთა და ქონებათა ექსპლოატაციის სისწორეს და მიზანშეწონილობას; ამოწმებენ აგრეთვე იმ სააღმშენებლო, სარემონტო, დამზადებითი და სხვა სამეურნეო სამუშაოთა წარმოებას, რაც ხორციელდება სასოფლო საბჭოების სპეციალური ან ნებაყოფლობითი გამოსაღებების, კერძოდ თვითდაბეგვრის, სახსრებით;

ვ) ამოწმებენ სასოფლო საბჭოს ყველა ქვემდებარე დაწესებულების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას;

ზ) ამოწმებენ სასოფლო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის ნაწილების სისწორეს (გასავლის შესაბამებას სახარჯთ-აღრიცხვო დანიშნულებებთან, ბიუჯეტის შესრულების საკასო გეგმის დაცვას, კრედიტების გადაწევის სისწორეს, დაწესებულებათა და საწარმოთა დაფინანსების სისწორეს, საბიუჯეტო რეზერვის შექმნასა და გამოყენების სისწორეს და სხვ.);

თ) ამოწმებენ, რამდენად სრულად არის ბიუჯეტში გამოსახული და გამოყენებული ადგილობრივი საშემოსავლო წყაროები, რაც სასოფლო საბჭოს კანონით აქვს მიცემული;

ი) აძლევენ სასოფლო საბჭოებს დასკვნებს სასოფლო ბიუჯეტის შესრულების შესახებ; მონაწილეობას იღებენ მომავალი წლის სასოფლო ბიუჯეტის განხილვაში და აგრეთვე სოფლის დაწესებულებათა და საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო გეგმების განხილვაში;

კ) ამოწმებენ სასოფლო საბჭოების მიერ აღებული სესხების ოპერაციების სისწორეს;

ლ) ამოწმებენ ყოველგვარი ნებაყოფლობითი გამოსაღების აკრეფის სისწორეს, კერძოდ, თვითდაბეგვრისა და კანონით დაწესებული სხვა გამოსაღების აკრეფის სისწორეს (გამოსაღების აკრება იმ პირთაგან, რომელთაც არა აქვთ სოფლის აღმასრულებლად ყოფნის უფლება, საგზაო მშენებლობაში მოსახლეო-

ბის შრომითი მონაწილეობის ნაცვლად გამოსაღების აკრეფა და სხვ. ამგვ.) და ამ გამოსაღებთა საშუალებით შეკრეფილი სახსრების გამოყენების სისწორეს;

მ) ამოწმებენ სასოფლო საბჭოების საქმიანობას გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდევინების დარგში, დასაბეგრავი საგნების გამომჟღავნების დარგში, სოფლის სიების სისწორით შედგენის და კოლმეურნეობათათვის, კოლმეურნეთათვის, ერთპიროვნულ შრომით მეურნეობათათვის და სასოფლო-სამეურნეო შენაერთებისათვის გადასახადებში შეღავათების დროულად შეფარდების საქმეში;

ნ) ამოწმებენ სასოფლო საბჭოებისა და მათი ქვემდებარე დაწესებულებების და საწარმოების ფულადი და მატერიალური სახსრების და სხვა ქონების შემოსვლას, შენახვას და დახარჯვას, აგრეთვე ეკონომიის რეჟიმის დაცვას მათ მიერ;

ო) ამოწმებენ სადაზღვეო ოპერაციების ჩატარებას, კერძოდ სადაზღვეო საზღაურის თავის დროზე და სავსებით გაცემას;

პ) ამოწმებენ სასოფლო საბჭოს ფულადსა და მატერიალურ ანგარიშგებას;

ჟ) თვალყურს ადევნებენ სათესლე ფონდის სისწორით აკრეფას, განაწილებასა და გამოყენებას და მერქნის სისწორით განაწილებას.

11. სარევიზიო კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საბჭოთა ხელისუფლების საერთო კლასობრივი პროლეტარული პოლიტიკით, მოქმედი კანონებითა და ზემდგომი აღმასკომების დადგენილებებით.

იმ შემთხვევაში, უკეთუ სარევიზიო კომისია აღმოაჩენს კანონების დარღვევას ან საბჭოთა ხელისუფლების კლასობრივი პროლეტარული პოლიტიკის დამახინჯებას, იგი ვალდებულია მოითხოვოს ამომრჩეველთა საერთო კრების მოწვევა და ამავე დროს ცნობა მიაწოდოს ამის შესახებ რაიაღმასკომს.

12. სარევიზიო კომისიები ესწრებიან ახალი შედგენილობის სასოფლო საბჭოს მიერ ძველი შედგენილობ ს სასოფლო საბჭოსაგან საქმეების მიღებას.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის გამოცვლის დროს სასოფლო სარევიზიო კომისია ვალდებულია მოახდინოს, სარაიონო ფინგანის წარმომადგენელთან ერთად, სასოფლო საბჭოს ფულადი ანგარიშგების მდგომარეობის რევიზია და დაამტკიცოს ფულადი საბუთებისა და ფულების მიღება-ჩაბარების აქტი.

13. სასოფლო სარევიზიო კომისიებს შეიძლება დაევალოს ზემდგომი აღმასკომებისაგან და აგრეთვე ფინსახკომის საფინანსო-საბიუჯეტო ინსპექციისაგან გამოკვლევა სასოფლო საბჭოს არაქვემდებარე დაწესებულებათა და საწარმოთა საქმიანობისა, აგრეთვე მათი სახსრებით წარმოებული ოპერაციებისა.

14. სარევიზიო კომისიებს მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესაბამისად უფლება ეძლევათ:

ა) დაათვალიერონ ყველა საქმე, წიგნი, ანგარიში და სხვა საბუთი, რაც სარევიზებელ ორგანოს, დაწესებულების, ან საწარმოს საქმიანობას ეხება;

ბ) მოითხოვონ სარევიზებელი ორგანოს, დაწესებულების ან საწარმოს

ფულადი და მატერიალური სახსრების წარმოდგენა შესამოწმებლად, კვლევის მოახდინონ მათი სალაროს რევიზია;

გ) იქონიონ უშუალო ურთიერთობა სახელმწიფო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მიიღონ მათგან რევიზიის ან გამოკვლევისათვის საჭირო ცნობები;

დ) მოახდინონ შესამოწმებელი სამუშაოების ადგილობრივი დათვალიერება, აგრეთვე მათ შესახებ საბუთების დათვალიერება და ფულადი თანხებისა და მასალების აღრიცხვა;

ე) მიავლინონ სარევიზიო კომისიის წევრები ცალკეულ დაწესებულებათა და საწარმოთა გამოსაკვლევად, სარევიზიოდ და საჭირო ცნობების მისაღებად;

ვ) მოითხოვონ განმარტება სარევიზებელი ორგანოების, დაწესებულების და საწარმოების თანამდებობრივ პირთაგან, აგრეთვე შესამოწმებელი სამუშაოების მწარმოებელთაგან;

ზ) მოიწვიონ თავის დამხმარედ მცოდნე პირები ადგილობრივ მუშაკთა რიცხვიდან;

თ) დაესწრონ სხდომებსა და თათბირებს იმ დაწესებულებებსა და საწარმოებში, რომელთა გამოკვლევის და რევიზიის უფლება აქვთ სარევიზიო კომისიებს;

ი) მოითხოვონ საჭირო შემთხვევებში ამომრჩეველთა საერთო კრების მოწვევა;

კ) ისარგებლონ რევიზიის მოსახდენად გამგზავრების დროს მიმოსვლის იმ საშუალებებით, რაც სასოფლო საბჭოების განკარგულებაშია;

ლ) მიიღონ ანგარიშვალდებულებით გამოკვლევებისა და რევიზიების მოსახდენად საჭირო თანხები სასოფლო საბჭოსაგან, აგრეთვე ზემდგომი აღმასკომებისაგან და ფინსახკომის საფინანსო-საბიუჯეტო ინსპექციისაგან, უკეთუ რევიზია მათი დავალებით ხდება.

15. ხელისუფლების ყველა ორგანომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ ყოველგვარად უნდა შეუწყოს ხელი სარევიზიო კომისიებს.

16. სასოფლო საბჭოებს უფლება არ აქვთ ჩაერიონ მათთან არსებულ სარევიზიო კომისიების მუშაობაში და მისცენ მათ რაიმე განკარგულება.

IV. სარევიზიო კომისიების საქმიანობის ხელმძღვანელობა და მათი მუშაობის წესი.

17. სარევიზიო კომისიების საქმიანობის ხელმძღვანელობას ახორციელებენ ზემდგომი აღმასკომები; ამ კომისიებისათვის ინსტრუქციების მიცემა და ტექნიკური დახმარების გაწევა ევალებათ სათანადო ნაწილში სარაიონო საფინანსო განყოფილებებს.

18. სასოფლო საბჭოების საქმიანობის მორიგ რევიზიებს ახდენენ სათანადო სარევიზიო კომისიები არა ნაკლებ, ვიდრე ორჯერ წელიწადში; სასწრაფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევიზიები შეიძლება ხდებოდეს, როგორც თვით სარევიზიო კომისიების ინიციატივით, ისე ზემდგომი აღმასკომების წინადადებით, აგრეთვე ამომრჩეველთა საერთო კრების შედგენილობის ერთი მესამედის მოთხოვნით. სასოფლო საბჭოს უკანასკნელი რევიზია უნდა მოხდეს არა უგვიანეს ერთი თვისა მის გადარჩევამდე

19. რევიზია ან გამოკვლევა ხდება იმ პირის ან მისი მოადგილის თანდასწრებით, რომელიც მეთაურობს სარევიზებელ ორგანოს, დაწესებულებას, საწარმოს ან სამუშაოს; რევიზიის მოხდენა სარევიზებელი ორგანოს წარმომადგენლის დაუსწრებლად შეიძლება მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში, დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლის მოწვევის შეუძლებლობის დროს. ასეთ შემთხვევაში რევიზიას აუცილებლად ესწრება ადგილობრივი სასოფლო საბჭოს წევრი ან რწმუნებული.

20. რევიზიებისა და გამოკვლევების მოხდენის დროს სარევიზიო კომისიებს უფლება არ აქვთ ჩაერიონ სარევიზებელ ორგანოს, დაწესებულების ან საწარმოს მიმდინარე მუშაობაში და უშუალოდ მისცენ მათ რაიმე განკარგულება.

21. რევიზიის ან გამოკვლევის გათავების შემდეგ სარევიზიო კომისია ყოველთვის ადგენს წერილობით აქტს, სადაც აღინიშნება რევიზიის ან გამოკვლევის საგანი, მათი შედეგები და აგრეთვე ის ღონისძიებანი რაც სარევიზიო კომისიას საჭიროდ ან მიზანშეწონილად მიაჩნია აღმოჩენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

აქტს ხელს უნდა აწერდენ სარევიზიო კომისიის წევრები, სარევიზებელი ორგანოს, დაწესებულების ან საწარმოს წარმომადგენელი და რევიზიის ან გამოკვლევის სხვა მონაწილე პირები. უკეთუ სარევიზიო კომისიის რომელიმე წევრი ან რევიზიის და გამოკვლევის სხვა რომელიმე მონაწილე არ ეთანხმება აქტს, მას ნება ეძლევა სამი დღის განმავლობაში დაურთოს აქტს თავისი განსაკუთრებული აზრი.

22. სარევიზიო კომისიის მიერ შედგენილი აქტი ინახება სარევიზიო კომისიის საქმეებში, აქტის ერთი პირი რჩება სარევიზებელ ორგანოში, დაწესებულებაში, ან საწარმოში, მეორე პირი კი იგზავნება სათანადო სასოფლო საბჭოში, უკეთუ რევიზია მოხდენილი იყო მის ქვემდებარე დაწესებულებაში ან საწარმოში, და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში, უკეთუ რევიზიის საგანი იყო თვით სასოფლო საბჭოს საქმიანობა.

23. თავისი გადაწყვეტილება სასოფლო სარევიზიო კომისიის აქტის შესახებ სასოფლო საბჭომ უნდა აცნობოს, არა უგვიანეს ათი დღისა აქტის მიღების დღიდან, სარევიზიო კომისიას, რომელსაც უფლება აქვს, უკეთუ იგი არ ეთანხმება ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას, საკითხი რაიაღმასკომის პრეზიდიუმში გადაიტანოს.

24. როდესაც სასოფლო საბჭოს არაქვემდებარე დაწესებულების და საწარმოს რევიზია ან გამოკვლევა ხდება ზემდგომი აღმასკომების ან ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფინანსო-საბიუჯეტო ინსპექციის დავალებით, მაშინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარევიზიო კომისიები რევიზიის ან გამოკვლევის შედეგებს აცნობებენ ამ აღმასკომებს ან ორგანოებს, კუთვნილებისამებრ, და აგრეთვე იმ სასოფლო სიბჭოს, რომელთანაც ეს სარევიზიო კომისია არსებობს.

25. რევიზიის დროს სიყალბის, გაფლანგვისა და სხვა დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ყველა შემთხვევაში, სარევიზიო კომისიები არ დაუცდიან რევიზიის გათავებას და დაუყოვნებლივ აცნობებენ ამას: ა) უახლოეს პროკურორს, გამომძიებელს, მოსამართლეს, მილიციის ორგანოს და ბ) სათანადო სასოფლო საბჭოს.

როდესაც სასოფლო საბჭოს ან მის ქვემდებარე დაწესებულების და საწარმოს საქმიანობაში აღმოჩენილი იქნება ბოროტმოქმედებანი, სასოფლო სარევიზიო კომისია ამის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამომრჩეველთა საერთო კრებაზე, მაგრამ არა უადრეს ხუთი დღის განვლისა იმ დღიდან, როდესაც ცნობა გაეგზავნა ამ მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტში მოხსენებულ ორგანოებს.

26. სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ფინსახკომის საფინანსო-საბიუჯეტო ინსპექციის მიერ მოსახდენ რევიზიებში მიწვეულ უნდა იქნეს სათანადო სასოფლო სარევიზიო კომისიის წარმომადგენელი.

27. სასოფლო სარევიზიო კომისიები თავისი მუშაობის ანგარიშს უდგენენ ამომრჩეველთა საერთო კრებას და პასუხისმგებელი არიან მის წინაშე. გარდა ამისა, სარევიზიო კომისიები მათ მიერ მოხდენილი რევიზიების და გამოკვლევების შედეგებს აცნობებენ სათანადო სასოფლო საბჭოს და გამოდიან თანამოხსენებით სათანადო სასოფლო საბჭოს ყოველი მოხსენების დროს მისი საქმიანობის შესახებ.

28. სარევიზიო კომისიის წევრები პასუხს აგებენ სარევიზიო კომისიაში მუშაობასთან დაკავშირებულ თავისი მოქმედებისათვის როგორც თანამდებობის პირნი.

29. სარევიზიო კომისიის წევრები ესწრებიან სათანადო სასოფლო საბჭოს ყველა სხდომას სათათბირო ხმის უფლებით.

30. სარევიზიო კომისიების მუშაობა სწარმოებს უმთავრესად არასამუშაო დროს. იმ შემთხვევაში, უკეთუ სარევიზიო კომისიის მუშაობა შეუძლებელია არასამუშაო დროს, მაშინ ის დაწესებულებები, საწარმოები და მეურნეობები, სადაც სარევიზიო კომისიის წევრები მუდმივ მუშაობენ, ვალდებული არიან, სასოფლო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით, გაანთავისუფლონ ისინი მუშაობისაგან სარევიზიო კომისიების წევრების მოვალეობათა ასრულების დროის განმავლობაში.

31. სარევიზიო კომისიების წევრებს, უკეთუ ისინი დაქირავებულ შრომას ეწევიან, ენახებათ მათი საშუალო შრომის ხელფასი, როდესაც ისინი თავის მოვალეობას ასრულებენ სამუშაო დროს.

32. სარევიზიო კომიესიბის წევრთა უფლება-მოვალეობანი ვრცელდება ამ კომისიების წევრთა კანდიდატებზეც იმ შემთხვევაში, როდესაც კანდიდატები სცვლიან სარევიზიო კომისიების წევრებს მათი არყოფნის გამო, ან მათ მიერ თავისი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის გამო.

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1934 წ. № 53 პ/მ. რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 1 5/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.

ბადაეცა სტამბას 5/IX, ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/IX. ტირაჟი 2.800.

მთავლ. რწმ. ს.—№ 76. საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა. შეკვ. № 1393.